საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 2731 2019 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტთან დაკავშირებით რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოწონებულ იქნეს:

ა) ინფორმაცია სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტში ცვლილების განხორციელების თაობაზე;

ბ) სს „საქართველოს რკინიგზასა“ და შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფს“ შორის გასაფორმებელი შეთანხმება;

გ) სს „საქართველოს რკინიგზასა“ და ILF-სა და DBI-ს შორის გასაფორმებელი შეთანხმება.

2. სს „საპარტნიორო ფონდმა“ უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ამ

ვანკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმებების ვაფორმების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**